ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №863494

ნომერი: AR1153015

თარიღი : 16.08.2013

გაცემის თარიღი : 23.08.2013

გაცნობის თარიღი : 23.08.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , N 24 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , N 26 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , N 26 , მიმდებარედ , (ნაკვეთი N1/111) / ქალაქი თბილისი , მასივი III , კვარტალი VIII , კორპუსი 1-ის მოპირდაპირედ , (ნაკვეთი N1/119) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , N 26 , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კირილე მორჩილაძე პ/ნ 01010006347
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ მ/რ კორპ.5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.05.2013 წ. #688995 გადაწყვეტილებითდამტკიცებულსამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებშიცვლილებისშეტანისადა19.04.2010 წ. #524 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 16.08.2013 წ. #AR1153015 განცხადებით მომართა მოქ. კირილე მორჩილაძემ და შპს „ინვესტი-5“-ის დირექტორმა რევაზ აბესაძემ და მოითხოვეს 24.05.2013 წ. #688995 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, საკადასტრო კოდისა და კონფიგურაციის

შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 19.04.2010 წ. ქალაქ თბილისში, ჯავახიშილის ქუჩა №24, №26, №26-ის მიმდებარედ III მასივი, VII კვარტალი, I კორპუსის მოპირდაპირედ (ნაკვეთი №1/119) სავაჭრო-კომერციული დანიშნულების ობიექტის რეკონსტრუქციის მიზით დადგინა №524 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა 1033 კვ.მ ფართობის მქონე №01/19/36/001/119 საკადასტრო ერთეუულზე, რომელშიც ცვლილება შევიდა ამავე სამსახურის 06.08.2012 წ. #296448 ბრძანებით და 19.04.2010 წ. №524 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (განცხადების რეგისტრაცია №882012362491, მომზადების თარიღი: 24.07.12წ., საკადასტრო კოდი: 01.19.36.001.119, ფართობი: 1012 კვ.მ.). 24.05.2013 წ. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ #01.19.36.001.119 ( 1012 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე საკადასტრო გეგმით #5/1 შენობა–ნაგებობის დემონტაჟისა და მის ნაცვლად ახალი კომერციული ნაგებობის ასაშენებლად დამტკიცდა #688995 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1) და საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2). აღნიშნულ ზონაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია შენობა–ნაგებობის დემონტაჟი და მის ნაცვლად ახალი კომერციული ნაგებობის აშენება. განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.19.36.001.185 ფართობი – 1013 კვ.მ), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, შეცვლილია საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია. ამასთანავე სამსახურისათვის ცნობილია რომ დამკვეთს აღარ გააჩნია სავაჭრო-კომერციული დანიშნულების ობიექტის ფუნქციის შენობის რეკონსტრუქციის ინტერესი.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში და ასევე ვინაიდან დამკვეთს აღარ გააჩნია სავაჭრო-კომერციული დანიშნულების ობიექტის ფუნქციის შენობის რეკონსტრუქციის ინტერესი და სამსახურის მიერ გამოცემულია 24.05.2013 წ. #688995 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.05.2013 წ. #688995 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.19.36.001.185 ფართობი – 1013 კვ.მ);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.05.2013 წ. #688995 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 1013 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.19.36.001.185;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.04.2010 წ. #524 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.05.2013 წ. #688995 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.